# სადისციპლინო გადაწყვეტილება # 36

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მატჩი | თბ „ლოკომოტივი“ - თბ „ხვამლი“ | | |
| შეჯიბრი | ჭაბუკთა „ა“ ლიგა | | |
| მატჩის თარიღი | 15/12/2024 | მატჩის ადგილი | თბილისი, ლოკოს ბაზა |
| რეგულაცია | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია | | |

| დარღვევის დეტალები | | | |
|---|---|---|---|
| მოთამაშის სახელი | ლუკა | მოთამაშის გვარი | ჩიტაძე |
| კლუბი/გუნდი | თბ „ლოკომოტივი“ | დაბადების თარიღი | 05/10/2006 |
| მსაჯი/საითინგ კომისრი | მატჩის მსაჯი, გიორგი ირემაშვილი | | |
| ბინძური თამაში | ☒ აღიარებულია<br>☐ არ არის აღიარებული | წითელი ბარათი | ☐ აღიარებულია<br>☒ არ არის აღიარებული |
| დარღვევა | **9.12 (ა) მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხყოს ფიზიკურად, ფიზიკური შეურაცხყოფა ითვალისწინებს (და არ არის ლიმიტირებული) შემდეგს: ხელის დარტყმა** | წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა ☐<br>თუ „სხვა“ დააზუსტეთ: | |
| სანქცია | 3(სამი) კვირა/თამაში | | |

| განხილვის დეტალები | | | |
|---|---|---|---|
| განხილვის თარიღი | 17/12/2024 | განხილვის ადგილი | სრკ-ს ოფისი |
| თავმჯდომარე | მირიან თავზარაშვილი | | |
| კომისიის წევრები | ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე | | |
| მოთამაშის დასწრება | კი ☒ არა ☐ | კლუბის/გუნდის წარმომადგენლების დასწრება | კი ☐ არა ☐ |
| მოთამაშის წარმომადგენელი | | სხვა დამსწრეები; | |
| მოთამაშის კლუბისთვის/გუნდისთვის განხილვამდე მიწოდებული დიკუმენტაცია | მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის წითელი ბარათის ოქმი; | | |

# სადისციპლინო გადაწყვეტილება # 36

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

| ფაქტობრივი მოცემულობბები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა). |
|---|
| 1. მატჩის მსაჯის გიორგი ირემაშვილის წითელი ბარათის ოქმი (ციტირება) - მეორე ტაიმის ბოლოს ერთ-ერთ რაქში ლოკომოტივის მოთამაშე მოწინააღმდეგეს იჭერდა რაზეც ხვამლის მოთმაშეს ჰქონდა არასპორტული გამოხატულება, კერძოდ ხვამლის 10 ნომერს გიორი ბეღელურს, რომელიც ხელის რტყმით ცდილობდა ამ სიტუაციიდან გამოსვლას. ამ ყველაფერს მოჰყვა ლოკომოტივის რევა ნომრის რეაქცია, რომელიც სიტუაციაში საერთოდ არ ფიგურირებდა და იგი გამოიქცა და გაამწვავა ეს მომხდარი. მან ხვამლის 10 ნომერს პირდაპირ სახეში დაარტყა მუშტი, ამაზე ხვამლის 10 ნომრისგანაც მიიღო პასუხი. ეს ყველაფერი გადაიზარდა გუნდურ დაპირისპირებაში, ხელჩართულ ჩხუბში. მომხდარის გამო მეოდნიდან წითელი ბარათებით გავაძევე დამწყები მოთამაშეები ორივე მხრიდან, ,ლოკომოტივის ნომერი8 ლუკა ჩიტაძე და ხვამლის ნომერი 10 გიორგი ბეღელური.<br>2. მატჩის კიდის მსაჯის საბა შვანგირაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - საბა შვანგირაძის განცხადებით მან გარკვევით დაინახა ლუკა ჩიტაძის (ლოკომოტივი #8) მიერ მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშისთვის სახეში ხელის ჩარტყმის ფაქტი. ეს ფაქტი მან მატჩის მთავარ მსაჯს მოახსენა.<br>3. „ლოკომოტივი"-ს მიერ მოწოდებული ვიდეომასალა - ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალით ვერ დგინდება მატჩის ოფიციალური პირების განცხადებების საპირისპირო გარემოება. კერძოდ ვიდეომასალა არასრულია და არ ასახავს მთლიან ინციდენტს. |

| დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება) |
|---|
| |

| დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება |
|---|
| თბ „ლოკომოტივი"-ს მოთამაშის ლუკა ჩიტაძის განცხადებით, იგი აღაშფოთა მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშის ქმედებამ. კერძოდ, „ხვამლი"-ს #10-მა რაქში გამეტებით რამოდენიმეჯერ ჩაარტყა ხელი თავში მის თანაგუნდელს. ლუკა ჩიტაძე არ ეთანხმება მსაჯის მიერ მისი წითელი ბარათით გაძევების გადაწყვეტილებას, მისი განცხადებით მას მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშისთვის არ დაურტყავს სახეში მუშტი. |

## სადისციპლინო გადაწყვეტილება # 36

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

| ფაქტობრივი მოცემულობზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა |
|---|
| სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მათზე მსჯელობის შემდეგ, სადისციპლინო კომისიამ დადგენილად ცნო თბ „ლოკომოტივი"-ს მოთამაშის ლუკა ჩიტაძის მხრიდან 9.12(ა)(**მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხყოს ფიზიკურად, ფიზიკური შეურაცხყოფა ითვალისწინებს (და არ არის ლიმიტირებული) შემდეგს: ხელის დარტყმა**) წესის დარღვევა.<br>სადისციპლინო კომისია განმარტავს, რომ ვინაიდან მხარის (თბ „ლოკომოტივი) მიერ წარმოდგენილი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალით ვერ დგინდება წითელი ბარათის ოქმში აღნიშნული დარღვევის (სახეში მუშტის დარტყმა) საპირისპირო გარემოება, სადისციპლინო კომისიას არ გააჩნია საფუძველი ეჭვი შეიტანოს მატჩის ოფიციალური პირების განცხადებებში და მხარი არ დაუჭიროს მსაჯის გადაწყვეტილებას ლუკა ჩიტაძის წითელი ბარათით გაძევების შესახებ.<br>სადისციპლინო კომისიამ ისჯელა დარღვევის სიმძიმის შესახებ, გაითვალისწინა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს შენიშვნა (**ბინძური თამაშის ნებისმიერი შემთხვევა, რომლის დროსაც მოთამაშე ბინძური თამაშის შედეგად ახდენს კონტაქტს თავის და/ან კისრის არეში და ეს ბინძური თამაში წითელი ბარათის ტოლფასია, განიხილება მინიმუმ "შუა ზღვარის" შესაბამისი სანქციით**) და მუშტის **სახეში(თავის არეში)** დარტყმის გამო დამრღვევის ქმედება შეაფასა 9.12(ა) (ხელით დარტყმა) პუნქტით გათვალისწინებული შუა ზღვრის ტოლფასად. |

## გადაწყვეტილება

| | |
|---|---|
| ბინძური თამაში | აღიარებულია ☒ დადგენილია ☐ არ არის დადგენილი ☐<br>სხვა (აღნიშნეთ) ☐ |
| წითელი ბარათის ტოლფასი ქმედება | აღიარებულია ☐ დადგენილია ☒ არ არის დადგენილი ☐<br>სხვა (აღნიშნეთ) ☐ |

### სანქცირების პოცესი

| სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტის მიხედვით<br>**დარღვევის სიმძიმის შეფასება** |
|---|

| | |
|---|---|
| განზრახვის შეფასება– 5.1(ა)-(ბ) | |
| **შეგნებული/წინასწარ განზრახული** ☐ | **წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი** ☒ |
| **დარღვევის გამომწვევი მიზეზები/გარემოებები** | |
| | |
| **მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):** 5.1 (დ) | |
| მუშტით | |

## სადისციპლინო გადაწყვეტილება # 36

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

| |
|---|
| **პროვოცირების არსებობა** 5.1 (ე) |
| |
| სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული 5.1 (ვ) |
| |
| ჰქონდა თუ არა მოთამაშის მხრიდან  ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა): 5.1 (ზ) |
| |
| რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა): 5.1 (თ) |
| |
| დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე 5.1 (ი) |
| |
| დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა; 5.1 (კ) |
| |
| შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა; 5.1 (ლ) |
| |
| დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი. 5.1 (მ) |
| |

### დარღვევის სიმძიმის ზღვარი.

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის  მიხედვით

| საწყისი ზღვარი | | |
|---|---|---|
| ზედა ზღვარი* ☐ | შუა ზღვარი ☒ | ქვედა ზღვარი ☐ |
| კვირა/თამაში | **6(ექვსი)** კვირა/თამაში | კვირა/თამაში |

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის. 5.3

| ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება: |
|---|
| |

### შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

| დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა)) | დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ)) |
|---|---|
| | სუფთა სადისციპლინო ისტორია |
| მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ)) | ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ)) |

## სადისციპლინო გადაწყვეტილება # 36

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

| | |
|---|---|
| ახალგაზრდა, გამოუცდელი (18 წლის) | სამაგალითო |
| **დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))** | **ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ))** |
| წუხილი გამოთქვა მომხდარი ინციდენტის გამო | |

**დაკლებული კვირების/თამაშების რ-ზა:** 3

| კვირების/თამაშების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა : |
|---|
| შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.8) სადისციპლინო კომისიამ მიიღო სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.12(ა) პუნქტის (ხელით დარტყმა) დარღვევისთვის შუა ზღვრით განსაზღვრული საწყისი სანქციის 50%-თ შემცირების გადაწყვეტილება |

**შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებები:** სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

| |
|---|
| **მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))** |
| არა |
| **დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ))** (პერსონალური/გუნდური გაფრთხილება) |
| არა |
| **ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))** |
| არა |

**დამატებითი კვირების/თამაშების რ-ზა:** 0

## სადისციპლინო გადაწყვეტილება # 36

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

| სანქცია |
|---|

- სანქცია მოიცავს სადისციპლინო პროცესის დასრულებამდე(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.

| | | |
|---|---|---|
| დისკვალიფიკაცია (კვირა/თამაში)სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე) | 3(სამი) კვირა/თამაში | წითელი ბარათი საკმარისია ☐ |
| დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი | 19/12/2024 | |
| დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. | 27/01/2025 | |
| დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები. | ბათუმი - ლოკომოტივი 22/12/2024; ლოკომოტივი - ხარები 17-19/01/2025; აია - ლოკომოტივი 24-26/01/2025; | |
| ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ) | | |

- სადისციპლინო სანქციის მოქმედების პერიოდში, დასჯილ მოთამაშეს/პიროვნებას თამაშის დროს ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე. (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.3)

| | | | |
|---|---|---|---|
| თავმჯდომარე<br>ხელმოწერა | მირიან თავზარაშვილი | თარიღი | 20/12/2024 |

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება 2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf